ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1766333

ნომერი: AR1288036

თარიღი : 21.02.2015

გაცემის თარიღი : 06.03.2015

გაცნობის თარიღი : 09.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხახანაშვილი , N 37 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 9 , (ნაკვ. 01/066) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ნარიმანიძე პ/ნ 01009014767
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 1 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013 წ. #974775 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 21.02.2015 წ. #AR1288036 განცხადებით მომართა მოქალაქეებმა ლაშა ნარიმანიძემ და გიორგი ინგოროყვამ და მოითხოვეს 11.11.2013 წ. #974775 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 11.11.2013 წ. #974775 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ქუჩა ხახანაშვილის N37-ში

არსებულ მიწის ნაკვეთზე (01.17.13.001.055 (873 მ2)) კლინიკის (სამედიცინო სხივური თერაპიის ცენტრი) აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.17.13.001.066 ფართობი – 4435 კვ.მ), რომლის დამატებასაც ითხოვს პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013 წ. #974775 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.17.13.001.066 ფართობი – 4435 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013 წ. #974775 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.17.13.001.055 მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს 873 კვ.მ და #01.17.13.001.066 მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს 4435კვ.მ;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013 წ. #974775 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი:

- აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე მშენებარე შენობებს შორის დამაკავშირებელი ხიდის მოწყობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით დოკუმენტაციას თან უნდა დაერთოს შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნა;
- რადგან 01.17.13.001.055 მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება მომიჯნავე 01.17.13.001.065 საკადასტრო ერთეულის გადაფარვა, პროექტის შეთანხმების სტადიაზე უნდა აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზი

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013 წ. #974775 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.